

მოკლე აღწერა: პეტერი შეეყვარებულია ერთ–ერთ ფრანგ გოგოგაზე, მაგრამ რადგან მან ფრანგული ენა არ იცის, მასთან საუბარს ვერ ახერხებს. ირინა, პეტერის თანამცხოვრები გოგონა, პეტერს უცხო ენების ცენტრის შესახებ უამბობს. პეტერი დარეგისტრირდება ფრანგულის შემსწავლელ კურსზე, მაგრამ მალე გაუწელებს ინტერესი, რადგან ამასობაში იტალიელი გოგონა, იზაბელა შეუყვარდება, რომელიც მას თავისთან იტალიაში დაპატიჟებს. პეტერისთვის ნათელი გახდება, რომ მან ახლა იტალიურს უნდა მოკიდოს ხელი.

ავტორი: პარასკევის ნაშუადღევია. პეტერი საშინლად დათრგუნული მოვიდა სამსახურიდან. ირინამ მაშინვე შეამჩნია პეტერის უგუნებობა. რა ხდება მის თავს?

პეტერი: – გამარჯობა..

ირინა: – გამარჯობა.. რა მოხდა? ასეთი რთულია სამუშაო?

პეტერი: – არა.. იცი რა?... ჩემთან სამსახურში არის ერთი გოგონა...

ირინა: – ააა გასაგებია.. აქაც ქალია „დამნაშავე“

პეტერი: – არა ამჯერად სხვა რამეა.. იცი.. მარია მართლა მაგარია.. ლამაზი, .. ხუმარა, .. ინტელიგენტი, .. ასე მგონია ყოველ შემთხვევაში,,

ირინა: – როგორ „ასე მგონია“?... ეს უნდა იცოდეს!

ავტორი: – არა! სამწუხაროდ ეს პეტერმა არ იცის, რადგან მარია არის ფრანგი და ვერც გერმანულს იცის და ვერც ინგლისურს.. პეტერი კი ერთ სიტყვას ვერ იცის მისი ნათქვამიდან, მაგრამ ისეთი შეგრძნება აქვს, რომ მარია მას განსაკუთრებულად უმზერს. პეტერმა არაერთხელ მოისურვა მას გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ფრანგულად მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა შეუძლია „ მიყვარხარ“ .. ამის თქმა კი ჯერ საკმაოდ ადრეა და ეს პეტერმა ძალიან კარგად იცის.

ირინა: – მიდი ჩვენთან, უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრში. ისინი ორგანიზებას უწევენ და სთავაზობენ მთელ რიგ უცხო ენების კურსებს. მე ახლა მაგალითად სწავლებას გავდივარ ესპანურში თემაზე „კულტურა და საზოგადოება“ . მათთან მართლა კარგად შეიძლება ენის სწავლა, მაგალითად: არაბული, იტალიური, ინგლისური, ესპანური, რუსული, იაპონური, ჩინური, პორტუგალიური, თურქული, გერმანული, როგორც უცხო ენა და ბუნებრივია ფრანგულიც. უბრალოდ დარეგისტრირდი და ნახავ, რომ რამოდენიმე კვირაში მარიასთვის მეტის თქმა შეგეძლება, ვიდრე მხოლოდ „მიყვარხარ“.

ავტორი: პეტერი აღფრთოვანებულია ირინას იდეით. ეს უცხო ენების ცენტრი, როგორც ჩანს სწორედ რომ ის უნდა იყოს, რაც მას მარიასთან კონტაქტის დამყარებაში დაეხმარება. პეტერი მეორე დღესვე მოინახულებს ცენტრს.

პეტერი: – ჰმ.. შენობა „ა 3“.. გაჩერებიდან 30 მ პირდაპირ და შემდეგ მარჯვნივ... ასე მითხრა ირინამ... აჰ! აგერ აქ არის! აბა ერთი შევიდე!

ავტორი: შიგნით შემოსული პეტერი მიაჩერდება დაფას, სადაც პატარა განცხადებებია გამოკრული, სადაც სტუდენტები კონკრეტულ უცხო ენაზე მოსაუბრე პარტნიორს ეძებენ. ასე მაგალითად: ჩინელი ეძებს ინგლისელს, პორტუგალიელი – გერმანელს, გერმანელი – ფრანგს... პეტერის მსგავსად.

პეტერი: – რა ენების ქაოსია!

სტუდენტი: – რით შემიძლია დაგეხმარო?

პეტერი: – იცით.. ფრანგულის კურსზე მინდა დარეგისტრირება.

სტუდენტი: – მაშინ ეგ „დიგიკამპუსის“ * ვებ-გვერდზე (www.digicampus.de) უნდა გააკეთო. როგორც აუგსბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იქ შეგიძლია ნებისმიერ ენის კურსზე დარეგისტრირდე, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. არის კურსები, სადაც მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. ამიტომ ყურადღება მიაქციე, რომ დროულად დარეგისტრირდე. ვადები ყოველთვის არის უცხო ენების ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული www.sz.uni-augsburg.de, ანდაც, თუ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რუბრიკაში „ენების ცენტრი“ შეხვალ, იქაც ნახავ ამ ინფორმაციას. ზოგიერთ კურსს სხვადასხვა სირთულის საფეხურები აქვს, მაგალითად: არის „დამწყებთათვის“ ან „პროგრესულთათვის“. ამ კურსებზე მოსახვედრად ტესტი უნდა გაიარო, რომლითაც დაადგენენ, თუ რომელი საფეხური შეგესაბამება.

პეტერი: – ააჰ.. გასაგებია.. შენც აქ დადიხარ კურსზე? თუ საიდან იცი ეს ყველაფერი?

სტუდენტი: – არა.. არა მე მხოლოდ ჩემს მეგობარს მოვაკითხე, საქართველოდანაა და აქ გერმანულის კურსზე დადის. უცხოელი სტუდენტებისთვის აქ მართლაც კარგი შემოთავაზებებია. აქ შეგიძლია ასეთ კურსზეც იარო „მეცნიერული წერა“ ან მეტყველების გასაუმჯობესებლად – კურსზე „მეტყვლება და ინტონაცია“. დღეს ჩემმა მეგობარმა ოთხი სემესტრის შემდეგ „ზოგადი უცხო ენის სერთიფიკატი“ მიიღო, რითაც მისი ამ კურსზე მონაწილეობა დასტურდება და მოგვიანებით გვინდა ეს ავღნიშნოთ.

პეტერი: აჰა,,! მშვენიერია, გილოცავთ!

ავტორი: პეტერი ცოტა ხანს კიდევ შეყოვნდება თავის თანამოსაუბრესთან. შემდეგ კი სწავლის სურვილით შეპყრობილი, ენერგიულად გაეშურება სახლისაკენ.

პეტერი: – www.sz.uni-augsburg.de !

ავტორი: ინტერნეტში პეტერი, უცხო ენების ცენტრის კიდევ სხვა შესაძლებლობებსაც გაეცნობა, მაგ: მედიათეკა, საიდანაც უცხოენოვანი DVD და CD – ს გამოტანაა შესაძლებელი. ანდა „ტონის სტუდია“, სადაც საკუთარი ტექსტის ჩაწერაა შესაძლებელი.

პეტერი: – აქ შეიძლება მარიასთვის რაიმე ფრანგული ლექსი ჩავწერო, ან სულაც ვიმღერო.

ავტორი: ეს კარგი იდეაა! .. პეტერი წარმოსახვაში ხედავს მარიას მის წინ..თუ როგორ ეხვევა იგი პეტერს, როცა პეტერი მას თავის ჩაწერილ სიმღერას ასმენინებს!..

მშვენიერია ოცნება.

პეტერი მომდევნო კვირების განმავლობაში თითქმის ყოველ დღე სწავლობს ფრანგულს.

პეტერი: (ფრანგულად) – ჩვენი გაკვეთილი იწყება 08:00 სთ–ზე! ჩვენი კურსის გერმანელი მასწავლებელი საინტერესოა! ის ასევე მხიარულიცაა და ჩვენ ბევრს ვიცინით მასთან ერთად! (*Les cours commençaient à huit heures. Notre prof d'allemand faisait des cours intéressants. Elle était aussi très drôle, et nous riions beaucoup avec elle*)

ირინა: – აჰა! როგორც ვხედავ ნელ–ნელა წინ მიდიხარ!

პეტერი: – სასაცილო რამეა!.. კი არა და უფრო სწორად „ძან სასაცილოა“ (ფრანგულად) (***très marrant***)

ირინა: – არ გეწყინოს მაგრამ გამოთქმა გაქვს საშინელი. უფრო ჩინურად ჟღერს ვიდრე ფრანგულად.

პეტერი: – აბა რა ვქნა? .. შენ შეგიძლია ეს წამიკითხო და თან მაჩვენო როგორ უნდა გამოვთქვა???

ირინა: – მეც არ ვიცი ფრანგული, მაგრამ წადი ენების ცენტრში, ენის ლაბორატორიაში. იქ არის კომპიუტერი, რომელიც ტექსტს კითხულობს. იქ შეგიძლია, კონტროლისთვის, შენი გამოთქმა ჩაწერო და შემდეგ მოისმინო როგორია შენი ფრანგული. თუ გამოთქმა გინდა დახვეწო, იქ უნდა იარო.

პეტერი: არც ისე ცუდი იდეაა. ისე ასეთი გამოთქმით მარიას ალბათ ვერც მოვხიბლავ.

ავტორი: ენის ლაბორატორიის დახმარებით, პეტერმა მართლაც შეძლო ფრანგულის გაუმჯობესება. ახლა აღარაფერზე სხვაზე აღარ საუბრობს, გარდა კრუასანზე, გემრიელ ყველზე და მეფურ ღვინოზე. რა თქმა უნდა ულამაზეს მარიაზეც.

პეტერი: – ეს კერძი შეგიძლიათ მარტივად შეაზავოთ, იგი აზავებს ხორცს ბოსტნეულის მსუბუქ გემოსთან. ამ რეცეპტის სხვა დანარჩენ უპირატესობებზე არის ასევე.....ოჰ! გამარჯობა, როგორ ხარ? (იტალიურად) (*Questo piatto, di facile realizzazione, unisce il gusto del pesce con la leggerezza delle verdure. Tra gli altri vantaggi di questa ricetta c'è anche una certa....Ah, ciao bella! Come stai?*)

ირინა: – რა ხდება აქ? საჭმელს ამზადებ? რაიმე გემრიელი გველოდება?

პეტერი: – ჰმ!!! *Fusilli Zucchini e Gamberetti* (იტალიურად)

ირინა: – აჰ! და ეს ნიშნავს?

პეტერი: – მაკარონი ყაბახითა და გარნელებით. გინდა გასინჯო?

ირინა: – სიამოვნებით.. მაგრამ ასე უცებ იტალიური საიდანლა იცი? მე მგონია შენ ფრანგულს სწავლობ. მარიას მოხიბვლა ხომ არ გინდა იტალიური მაკარონით?

პეტერი: – ეჰ მარია! ეგ არაფერი იყო (ფრანგულად) *Ce n'était rien*. ენის კურსზე ერთი უფრო მაგარი გოგო გავიცანი. ის არის ძალიან მაგარი – იზაბელა (იტალიური (აქცენტით). დამპატიჟა თავისთან სიცილიაზე. ამიტომაც ახლა უფრო სიამოვნებით იტალიურს ვისწავლი, თან მამამისს ჩემზე ხომ უნდა დარჩეს კარგი წარმოდგენა.

ირინა: – ახ პეტერ! მოკლედ აუტანელი ხარ!.. მაგრამ თუ კი ასეთ გემრიელ რაღაცეებს მოამზადებ ხოლმე საჭმელად, მაშინ, გინდა პორტუგალიელი, რუსი ანდაც კიდევ იაპონელი შეგიყვარებია.

პეტერი: – ვწუხვარ, მაგრამ უახლოეს მომავალში, მხოლოდ პიცას ან მაკარონს უნდა ელოდე ჩემგან... მაგრამ კაცმა არ იცის რა მოხდება.. უცხო ენების ცენტრის შესაძლებლობები განუსაზღვრელია

ავტორი: .. და ასე საუბრობენ პეტერი და ირინა, პეტერის ძველ და ახალ სიყვარულზე. თუმცა ირინა პეტერისას დიდად ვერ იგებს, მაგრამ კმაყოფილია, რომ მას დახმარება გაუწია. ბოლოს და ბოლოს მაკარონიც ძალიან გემრიელია და იქამდე სანამ პეტერი შეეყვარებულია, სულ ასეთ გემრიელ კერძებს მოამზადებს.
„ ბონაპეტიტ!“

შენიშვნა:

* დიგიკამპუსი (www.digicampus.de) - ეს არის უნივერსიტეტის ონლაინ-პორტალი, სადაც სტუდენტები ეწერებიან ლექციებზე დამსწრეთა სიებში, ადგენენ სეკუთარ დღის განრიგს. ასევე რეგისტრირდებიან სხვადასხვა კურსებისათვის და ა.შ.

ავტორები: ირინა ლუზენკო და რომან ლინცენკირხნერი

Übersetzt von
Natia Tsiklashvili